„დეაში“

შიშზე დაფუძნებული რელიგიის ბოროტად გამოყენება

„დეაში“

შიშზე დაფუძნებული რელიგიის ბოროტად გამოყენება

DİYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI

რელიგიურ საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა: 1674

სახალხო წიგნები: 394

კოორდინაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო

შეადგინა
რელიგიურ საქმეთა უმაღლესი საბჭო
რელიგიური სამსახურის გენერალური სამმართველო

ნაშრომის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
12.11.2019/122

ISBN: 978-605-7730-85-5
2019-34-Y-0003-1674
სერტიფიკატის №: 12930

1-ლი გამოცემა, სტამბოლი - 2019

გამოცემა
İleri Basım Matbaacılık A.Ş.
B. Evler Mah. F.Çakmak 2 Cad. Güzelşehir Sit. 22 Villa No: 1 ANP/22
B.Çekmece / İSTANBUL
Tel: +90 212 454 35 10
Sertifika no: 41157

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო
Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

ტერორისტული
ორგანიზაციები,
რომლებიც ამტკიცებენ,
რომ არიან რელიგიურები
და წარმოადგენენ
ისლამს და რომლებიც
უკეთურობას ჩადიან,
სისხლს ღვრიან და
სინამდვილეში საკუთარი
ინტერესებისთვის
მუსლიმთა მატერიალურ
და სულიერ არსებობას
ბოროტად იყენებენ,
უდიდეს ზიანს
აყენებენ მუსლიმურ
საზოგადოებებს, ჩვენს
ერთობას და ერთიანობასა,
ჩვენს მომავალს და
აწალგაზრდობას.

„დეაში“ ერთ-ერთი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც დღეს ბოროტად იყენებს რელიგიას. მახეს უგებს ახალგაზრდებს, რელიგიას იყენებს ძალაუფლების მოპოვებისა და იდეოლოგიური ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით. ეს ორგანიზაცია, რომელიც სირიასა და ერაყში მდებარეობს, ჩვენი, როგორც მეზობელი ქვეყნის ახალგაზრდებს ადამიანური რესურსების უზრუნველსაყოფ სამიზნედ მიიჩნევს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი „დეაშისა“ და მსგავსი სტრუქტურების წინააღმდეგ ბრძოლაში, არის ისლამის სწორი გაგება და ცოდნა იმისა, თუ რომელი ისლამური ფასეულობების გამოყენებით ახორციელებენ ამ ხალხის გამოყენებას ეს ორგანიზაციები. ჩვენს ხელთ არსებული ეს ნამუშევარი მომზადებულია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ერის ცნობიერების ამაღლების, რელიგიის ბოროტად გამოყენების შესახებ გაფრთხილებისა და ჩვენი უზენაესი რელიგიის ავთენტური წყაროებიდან სწავლის მნიშვნელობაზე ყურადღების გასამახვილებლად.

ერაყში შეჭრის შემდეგ, რეგიონში გამხორციელებულმა მზაკვრულმა პოლიტიკამ, მუდმივმა ძალადობამ, პატიმრობამ, წამებამ და ათასობით ადამიანის დევნილობამ, რადიკალური მიდრეკილების მქონე ორგანიზაციებს მისცა მათთვის სასურველი შესაძლებლობა.

რა არის რელიგიის ბოროტად გამოყენება?

„ბოროტად გამოყენება“ ნიშნავს პირის ან ჯგუფის მიერ კეთილსინდისიერების ბოროტად გამოყენებას, ექსპლუატაციას. „რელიგიის ბოროტად გამოყენება“ ნიშნავს რელიგიის გამოყენებას, რელიგიასთან დაკავშირებული

ცნებებისა და ღირებულებების გზით ადამიანების შეცდომაში შეყვანას და მატერიალური ან სულიერი ინტერესების მოსაპოვებლად, ანუ, საკუთარი ინტერესებისთვის რელიგიის გამოყენებას.

მთელი ისტორიის მანძილზე, უამრავი ადამიანი და ჯგუფები ცდილობდნენ სხვადასხვა სარგებლის მიღებას ხალხზე

რელიგიის გავლენის მეშვეობით და არ მორიდებიან რელიგიით ვაჭრობას. ეს ადამიანები და ჯგუფები, ზოგჯერ იყენებენ აიათების და ჰადისების მნიშვნელობას არასწორი და შეუსაბამო ფორმით, ზოგჯერ კი იყენებენ მათ საკუთარი ბოროტი ზრახვებისთვის და არასწორი ინტერპრეტაციის სახით აწვდიან საზოგადოებას. მათ ერთ ნაწილს კი, რომლებიც ბოროტად იყენებენ რელიგიას, პირდაპირ მიზნაში აქვთ ამოღებული რელიგია და იმისათვის, რომ არ მოხდეს ადამიანების ორიენტირება ილსამისაკენ, მიღებული აქვთ რელიგიური კონცეფციის დაცლის მეთოდი და ამ კონცეფციების მნიშვნელობის დაკარგვა.

ჯერ კიდევ ჩვენი შუამავლის სიცოცხლეში, მედინაში სამლოცველოს აშენება, როგორც „მესჯიდი ნებევი“-ს ალტერნატივა და მუსლიმთა შორის დისკრიმინაციის წარმოშობა, რელიგიის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი ტიპიური მაგალითია. ეს ნაგებობა, რომელსაც ეწოდა “მესჯიდი დირარ“ (მავნე სამლოცველო), ყურანში აღწერილია შემდეგნაირად: „*და რომელთაც დაიდგინეს სამლოცველო ზიანის მისაყენებლად და ურწმუნოების გასამყარებლად, და განხეთქილების*

შესატანად მორწმუნეებს შორის და საგუშაგოდ, ვინც იმთავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა ალლაჰსა და მის შუამავალს, უეჭველად, დაიფიცებენ: არაფერი გვინდოდა, გარდა სიკეთისა! თუმცაღა ალლაჰი მოწმობს, რომ ეგენი ნამდვილად ცრუნი არიან.“ (თევბე, 9/107) ყოვლისშემძლე ალლაჰმა, გააფრთხილა ჩვენი შუამავალი “არასოდეს ილოცო ნამაზი მასში!” და ეს ფაქტი, რამაც გამოიწვია სეპარატიზმი მუსლიმთა შორის, განგვიმარტა, როგორც მაგალითი, რომ ცხოვრების მანძილზე ყოველთვის უნდა ვიყოთ ფრთხილად მოსალოდნელი ბოროტად გამოყენებისა და შეთქმულების მოძრაობების წინაშე. ჩვენი შუამავლის მკაცრი რეაქცია მათ მიმართ, ვინც ააშენა ეს მეჩეთი, გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცდილობენ რელიგიის ბოროტად გამოყენებას.

წმინდა ყურანის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მაგალითი ისლამის ისტორიაში მოხდა სიფინის ომში. ძალადობაზე დაფუძნებული მოძრაობა, რომელიც ცნობილია, როგორც „სხვები“ (ხავარიჯი), ამ ომში მოქმედებდა, როგორც ყურანის

ფაქტია, რომ
“დეაში” ერთი
მხრივ არის
მარიონეტული
სტრუქტურა,
რომელიც
ეფუძნება
საერთაშორისო
სიძლიერისა და
ძალაუფლების
ომების, იარაღითა
და ნავთობით
ვაჭრობას.
მეორე მხრივ, ეს
ფსიქოლოგიური
ინსტრუმენტია,
რომელიც
მიზნად ისახავს
დასავლეთის
საზოგადოებაში
მცხოვრებ
ახალგაზრდა
თაობებსა
და ისლამის
წყალობის
გზავნილს
შორის ფარდის
დაკიდებას.

დამცველი და სინამდვილეში ძალიან დიდი შეთქმულების ხანძარი გააჩაღა. ანალოგიურად, უკიდურესი შიიტი ჯგუფები, რომელნიც ცნობილნი იყვნენ, როგორც „გულატ“ (ისინი, ვინც რელიგიაში უკიდურეს სიმტკიცეს იჩენენ), ცდილობენ თავიანთი ცდომილი იდეების აიათებით გამყარებას. ასევე, ბოლო პერიოდში ისლამურ სამყაროში წამოქმნილი ჯგუფები, როგორიცაა აჰმადია, ბაბიზმი, ბაჰაიზმი და დრუზიზმი, არ ერიდებიან რელიგიის ბოროტად გამოყენებას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როგორც გუშინ, დღესაც გვხვდებიან მედროვეები, რომლებიც ბოროტად იყენებენ არა მარტო ყურანს, არამედ ჰადისის გადმოცემებს, მაგალითებს შუამავლის მიმდევარი მეგობრებისა და ისტორიული პიროვნებების ცხოვრებიდან, ისლამურ ფასეულობებს და კონცეფციებს. ბევრი ადამიანი და ჯგუფი, რომლებიც ვითომდა ხსნიან ისლამს სხვადასხვა სახელწოდებებით, პუბლიკაციებით და დისკურსებით, რეალურად ემსახურება თავიანთ პირად ინტერესებს. ეს ყალბისმქმნელები, რომლებიც აცხადებენ, რომ მოუწოდებენ რელიგიისკენ, რეალურად ბოროტად იყენებენ მუსლიმების

უმანკო და სუფთა გრძნობებს. ცრუ, უსაფუძვლო სისულელეებით, ზღაპრებით, ოცნებებით, ყალბი მადლის დაპირებებით, რომლებიც ეწინააღმდეგება ისლამის ძირითად რესურსებს, გონებას და ლოგიკას, ატყუებენ ჩვენს მოქალაქეებს, ჰპარავენ მათ ფულს, შვილებს, დროს, უფრო მეტიც, მათ ცხოვრებას.

რელიგიის ბოროტად გამოყენება გადაზრდილია სერიოზული უსაფრთხოების საკითხად, რომელიც დღეს საფრთხეს უქმნის ისლამის უმმეთის ერთიანობასა და ერთობას. ტერორისტული ორგანიზაციები, როგორიცაა „ფეტო“ “დეაში”“, „ალ-ქაიდა“, „ბოკო ჰარემი’“, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არიან რელიგიურები და წარმოადგენენ ისლამს, ჩადიან უკეთურობას, ღვრიან სისხლს, ყველაზე დიდ ზიანს აყენებენ მუსლიმ საზოგადოებებს, ჩვენს ერთობას და ერთიანობას, ჩვენს მომავალს და ჩვენს ახალგაზრდობას.

როგორ წარმოიქმნა “დეაში”?

ბოლო წლების განმავლობაში, “დეაშის” და მსგავსი ძალადობრივი ორგანიზაციების ზრდა და მუსლიმი ახალგაზრდების ამ ორგანიზაციების

მახეში გაბმა არ არის რელიგიური, არამედ გამოწვეულია ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული მიზეზებით. ავღანეთსა და ერაყში შეჭრა, 11 სექტემბრის თავდასხმები, პალესტინის პრობლემის გადაუწყვეტლობა, არაბული გაზაფხულის დემოკრატიული მოთხოვნების ანტი-დემოკრატიული გზებით ჩახშობა და ისლამურ სამყაროში არსებული დევნის წინაშე მსოფლიოს დუმილმა, გამოიწვია მუსლიმურ ქვეყნებში უიმედობისა და სასოწარკვეთილების გავრცელება. ადამიანებს, რომლებიც არიან დაჩაგრულნი, ართმევენ მათ ძირითად უფლებებს და იძულებულნი არიან იცხოვრონ ზეწოლის ქვეშ, მათი ბრაზისა და შურისძიების გრძნობები ხდება ღია ბოროტად გამოყენების მიმართ. განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომლებიც ჯანსაღი რელიგიური განათლების მიღებას ვერ ახერხებენ, მწუხარებით, რომ ვერ შეძლებენ შეცვალონ თავიანთი პირობები და მარტო არიან უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხდებიან ადვილად მოსანადირებელნი. ერაყში შეჭრის შემდეგ რეგიონში გატარებულმა მზაკვრულმა

პოლიტიკამ, ადამიანების რასებად და მეზჰეებად დაყოფის პრაქტიკამ, მუდმივმა ძალადობამ, პატიმრობებმა და წამებამ, სამშობლოდან დევნილმა ათასობით ადამიანმა რადიკალური მიდრეკილების ორგანიზაციებს მისცა მათთვის სასურველი შესაძლებლობა. ერთი მხრივ, უკიდურესმა სიღარიბემ, მეორე მხრივ, დაუკმაყოფილებელმა ძალაუფლების მოთხოვნილებამ, წარმოქმნა მზა ტერიტორია არაჰუმანური

ორგანიზაციის
შემადგენელი
ადამიანური
რესურსებიდან
ერთ-ერთი
ჯგუფს შეადგენენ
ახალგაზრდები,
რომლებსაც უწოდებენ
„კოლონიურ
ემიგრანტებს",
რომლებიც დაიბადნენ
და გაიზარდნენ
ევროპაში, განიცადეს
დისკრიმინაცია,
საზოგადოებისგან
იქნენ
მარგინალიზებულნი,
დამცირებელნი და
თვითდაჯერებულობა
წართმეულნი.

ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად, სახელწოდებით „დეაში“.

ფაქტია, რომ “დეაში” არის მარიონეტული სტრუქტურული წარმონაქმნი, რომელიც აწარმოებს საერთაშორისო გავლენისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლას, ეწევა იარაღითა და ნავთობით ვაჭრობას. მეორე მხრივ, ეს არის ფსიქოლოგიური ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთის საზოგადოებაში მცხოვრები ახალგაზრდა თაობებისა და ისლამის წყალობის გზავნილს შორის ფარდის დაკიდებას. მის უკან არის ეშმაკი, დაუნდობელი, ბარბაროსული ალიანსი, რომელიც ეფუძნება ღრმა ინტერესების ურთიერთობებს. “დეაში”, ისევე როგორც სხვა ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ყველა ადამიანს აკისრებს მძიმე ფასის გადახდას, რასის, ფერის, რელიგიის, სქესისა თუ ერის მიუხედავად, საზრდოობს ურწმუნო და არაკეთილსინდისიერი არხებიდან.

დღეს, ერთი მუჭა ხალხი, რომლებიც ახდენენ საკუთარი თავის დემონსტრირებას, რელიგიისა და ღვთის დაუღალავ მებრძოლებად, მათ მიერ წარმოებული შეურიგებელი ბრძოლებით კი კაცობრიობის სისხლს

ღვრიან. ეს ადამიანები, რომლებიც არ აღიარებენ ადამიანურ და მორალურ ფასეულობებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სინდისი და სიწმინდე, წვავენ და ანგრევენ იდეოლოგიურ ნიადაგზე, ანადგურებენ და არ აცნობიერებენ, რომ ისინი რეალურად არიან მაშები.

შემთხვევითი არ არის ის, რომ ასეთი სისხლიანი ორგანიზაცია წარმოიშვა რეგიონში, სადაც მუსლიმები ცხოვრობენ და იყენებს ისლამის ელემენტებს. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია პრობლემურია რეგიონის ყველა ქვეყნის მთავრობასთან, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთან თავისუფლად წვდომის შესაძლებლობა ადასტურებს, რომ ეს არის ძალიან ღრმა ფიქციის ნაწილი მუსლიმ საზოგადოებსა და ახალგაზრდებზე ნადირობის კუთხით.

ეჭვგარეშეა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი “დეაში” და მსგავსი სტრუქტურები წარმოიქმნებოდა იმ ტერიტორიაზე, სადაც სხვა რელიგიაა, ისინი გამოიყენებდნენ იმ რელიგიას. ამგვარად, ეს ორგანიზაციები არ შეიძლება შეფასდნენ, როგორც რელიგიური გაგების პროდუქტი ან ასე თუ ისე ისლამის ინტერპრეტირების შედეგი. რადგან, ე.წ. რელიგიური დისკურსი, რომელიც მათ წამოაყენეს,

სხვა მორწმუნეების ჭეშმარიტების მოგზაურობის დამცირება, მათი გარიყვა რელიგიისა და სარწმუნოების ფარგლებიდან, მათი ქიბლასკენ მიმართული გულების ან სეჯდეზე დასული შუბლების შეურაცხყოფა და დაგმობა, ძმობას არ შეესაბამება.

სინამდვილეში სხვადასხვა მიზნებისთვის რელიგიის ძალადობის ინსტრუმენტად გადაქცევაა.

ვინ წევრიანდება „დაეშში“?

ორგანიზაციის ადამიანური რესურსის უმრავლესობას შეადგენენ ახალგაზრდები. ამ ახალგაზრდების მასის განხილვა შესაძლებელია ოთხ ჯგუფად:

მათგან პირველი არიან ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ომის ზონაში ძალადობითა და სისასტიკით გაიზარდნენ, სერიოზული სიღარიბე განიცადეს და ვერ შეძლეს ადამიანის ღირსების შესაფერის პირობებში ცხოვრება. ცნობილია, რომ ამ ადამიანებმა წერა-კითხვაც კი არ იციან, არ მიუღიათ რაიმე სახის რელიგიური განათლება, პირიქით წლების მანძილზე ცხოვრობდნენ ზეწოლით და დაშინებით.

მეორე მასა ადამიანებისა, რომლებიც შეუერთდნენ ორგანიზაციას, არიან ემიგრანტების შვილები, რომლებსაც უწოდებენ „კოლონიურ ემიგრანტებს». ეს ბავშვები არიან ის ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ ევროპაში, განიცადეს დისკრიმინაცია, საზოგადოებისგან იქნენ მარგინალიზებულნი, დამამცირებელნი

“დეაშის” ტირანიული მიდგომა, რომელიც ბოროტად იყენებს ისეთ მაღალ კონცეფციას, როგორიცაა ჯიჰადი, ხელს უწყობს ორგანიზაციის მოწინააღმდეგე ყველა ჯგუფის მოკვლას განურჩევლად ქალების, ბავშვების და მოხუცებისა, მიუხედავად იმისა, მუსლიმია თუ არა.

და თვითდაჯერებულობა წართმეულნი. ცნობილია, რომ ეს ახალგაზრდები, რომლებიც ვერ იკმაყოფილებენ თავიანთი თავის გამოხატვისა და დაფასების მოთხოვნილებებს, რელიგიური განათლების თვალსაზრისითაც საკმარისად არ არიან განათლებულნი, მეტიც, იმის გამო, რომ განიცდიან რწმენის კრიზისს, სწრაფად ტყუვდებიან რადიკალურ რელიგიური დისკურსით

მესამე მასას, რომელიც გაწევრიანებულია ორგანიზაციაში, შეადგენენ ახალგაზრდები, რომლებმაც ჯერ კიდევ ახლა მიიღეს ისლამი და არ ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ ისლამს ავთენტური წყაროებიდან, კეთილსინდისიერი და ცოდნით აღჭურვილი ადამიანებისგან. ცნობილია, რომ ეს ახალგაზრდები, რომლებმაც ვერ გაიგეს, რომ ისლამი არის წყალობის რელიგია, ვერ გამოიკვებნენ სიბრძნითა და სათნოებით, ზომიერებითა და შორსმჭვრეტელობით, რელიგიური ცოდნის ნაკლებობის გამო სწრაფად ებმებიან ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მახეებში.

„დეაშში“ გაწევრიანებულ მეოთხე ჯგუფში არიან ის ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჩართული

ორგანიზაციის იერარქიულ სტრუქტურებში და დაარწმუნეს ისინი, რომ ისლამის მაღალი მიზნები, როგორიცაა ჯიჰადი, მოწამეობა და სამოთხე, მოიპოვება ამ ორგანიზაციის დისკურსებითა და ქმედებებით. ორგანიზაცია ეწევა ახალგაზრდების რელიგიური გრძნობებისა და ემოციების ბოროტად გამოყენებას, მის მიერ ისლამურ კონცეფციებზე დაფუძნებული ტექსტების მეშვეობით ცდილობს მათ კონტროლს და მოტივირებას. მაშინაც კი, თუ ორგანიზაციაში ასეთი საწყისებით ჩართული ადამიანები გააცნობიერებენ ორგანიზაციის ძირითად მიზნებს და სურვილი ექნებათ დატოვონ ორგანიზაცია, ძალადობრივი სტრუქტურა, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ, ხელს უშლის მათ.

ოთხივე ჯგუფის საერთო თვისება, რომელნიც, ცხადია არიან ზეწოლასა და სიცარიელეში, არის ის რომ მათ ვერ ისწავლეს ისლამი სარწმუნო წყაროებიდან, ვერ გაეცნენ „ეჰლი სუნნეთის“ მარტივ, დაბალანსებულ, ყოვლისმომცველ მიდგომას, არ იციან რელიგიის ძირითადი ცნებები. მათ ვერ ისწავლეს, რომ საჭიროა რწმენის განმტკიცება კარგი მორალითა და ღვთისმსახურებით, მორწმუნე არის

„ადამიანი ვისი ხელიდან და ენიდანაც არ წარმოიქმნება ზიანი". რომ მათ არ იციან ისლამის არსი, რომელიც ამბობს „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შედით სრულად მორჩილებაში (ისლამი)." (ბაყარა, 2/2018) და მოუწოდებს კარგისა და სიკეთისაკენ, კრძალავს სისასტიკესა და წამებას.

ერთი მუჭა ხალხი, რომლებიც ახდენენ საკუთარი თავის დემონსტრირებას, რელიგიისა და ღვთის დაუღალავ მებრძოლებად, იდეოლოგიურ ნიადაგზე, რომელიც არ ცნობს არცერთ ადამიანურ და მორალურ ფასეულობებს, წვავენ და აწგრევენ, აწადგურებენ და არ აცნობიერებენ, რომ ისინი რეალურად არიან ინსტრუმენტები.

როგორ ახორციელებს რელიგიური ტექტების ბოროტად გამოყენებას "დეაში"?

როდესაც ძვირფასი შუამავალი ასწავლიდა ისლამის პრინციპებს, იგი ასევე ასწავლიდა მათ სწორად გააზრებას და განხორციელებას ცხოვრებაში, ანუ მან განსაზღვრა წესი. ამ მიმართულებით, მუსლიმებმა როგორც რწმენის პრინციპების, ასევე ყოველდღიური ცხოვრების დებულებების დადგენის მიზნით შექმნეს გარკვეული წესები, რომლებიც ეფუძნებოდა ყურანს

და სუნნეთს. ეს სფერო, რომელიც დახურულია შემთხვევითი აზრების, თვითნებური ინტერპრეტაციისა და არალეგალური პრაქტიკისთვის, ჩვენმა შუამავალმა შეადგინა და ასწავლიდა თავის მიმდევარ მეგობრებს. მისმა მიმდევარმა მეგობრმებმა, აგრეთვე რელიგიური დებულებები, აიათების განმარტებები და სუნნეთის პრაქტიკა, რომლებიც ისწავლეს ძვირფასი შუამავლისგან, გადასცეს მომდევნო თაობას (რომელმაც შუამავლის მიმდევარი მეგობრები იხილა, როგორც მუსლიმი და მოკვდა, როგორც მუსლიმი). ამგვარად ისლამური ცოდნა თაობიდან თაობაში გადავიდა ასეთი ფორმით და ისლამური აზროვნება იქცა უაღრესად თანმიმდევრულ, მოწიფულ და მყარ გაგებად.

გარდა ამ ავთენტური გაგებისა, ყოველთვის არსებობდა გააზრებისა და განმარტების ინიციატივები, იდეოლოგიური აღქმის მცდელობები, რომლებიც იგნორირებას უკეთებდნენ ისლამის სულისკვეთებას და მიზანს. დღესდღეობით, “დეაში” ასევე ბოროტად იყენებს რელიგიურ ტექსტებს თავისი მტკიცებებისა და პრაქტიკისათვის, რომლის უკანაც დგას ღალატი და ამბოხი. აქ მნიშვნელოვანი მომენტი

არის ის, რომ არ არის დაცული არც ერთი პროცედურა და პრინციპი, როდესაც ხდება ე.წ. რელიგიური არგუმენტების გამოყენება და სადაც არსებობს სარგებელი, ხდება მისკენ მიმართული სტრუქტურის შექმნა. აიათებისა და ჰადისების გამოყენებისას, “დეაში” არღვევს კონტექსტს, მის წინ არსებულის და მის შემდგომ არსებულის გაუთვალისწინებლად, ამუქებს საკითხთან დაკავშირებულ სხვა შესაბამის მტკიცებულებებს და რელიგიის ძირითადი მიზნების გათვალისწინების გარეშე ახდენს ინტერპრეტირებას. ქვემოთ წარმოდგენილია ამ ბოროტად გამოყენების მაგალითები.

რა მნიშვნელობის მატარებელია “დეაშის” ორიენტაცია „ლაფიზის“ (გამოხატვის) და „სალაფის“ მიმდევარი?

“დეაში” და მსგავსი ჯგუფები თავიანთ თავს უკავშირებენ „სალაფ-ი სალიჰინს“ ანუ, ისლამის პირველ თაობებს და ცდილობენ ისარგებლონ ფასეულობებით და მოიპოვონ აღიარება. ეს ჯგუფები სალაფიდან ირჩევენ

„ლაფიზის“ (გამოხატვის) მიმდევრის ტენდენციებს, რომელიც მათი აზრით იქნება დასაყრდენი მათთვის. თუმცა, მიუხედავად “დეაშის” მცდელობისა, თავისი ასეთი სალაფიური ხაზით ლეგიტიმაციის შესახებ, სინამდვილეში არტერია რომლითაც ის იკვებება, არის ვაჰაბიზმის (სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა) მოძრაობა. ეს მოძრაობა, ჩამოყალიბდა მე-18 საუკუნეში მუჰამედ ბ. აბდულვეჰჰაბის იდეების ირგვლივ და მოგვიანებით მათი რელიგიური შეხედულების ქვეშ გახდა თანამედროვე პერიოდის იდეოლოგია.

რეკომენდაციები, რომლებსაც იყენებს “დეაში” წერილობით და ვიზუალურ სამაუწყებლო ქსელში აჩვენებს, რომ ისინი ახლოს არიან მყარი ვაჰაბიზმის ხაზთან. “დეაშის” მენტალიტეტი, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს მხოლოდ სიტყვასა და ფორმას, რომ აღარაფერი ვთქვათ რელიგიური სიბრძნის განზომილებაზე, აღვივებს შუღლს და მტრობას. ეს მენტალიტეტი არის ფრაგმენტული, რადგანაც მთლიანობაში ვერ ხედავს სიბრძნეს მეცნიერების გვერდით, ზნეობას საქმის გვერდით, მორალს გადაწყვეტილების გვერდით. ის არის მიკერძოებული, ზედაპირული და დესტრუქციული და

არა რეალისტური, სიღრმისეული და კონსტრუქციული.

მაგალითად, აიათი: “განა, მხოლოდ მას არ ეკუთვნის გაჩენა და მბრძანებლობა?” (ეღრაფი, 7/54) ორგანიზაციას თავის დოკუმენტებში ნაჩვენები აქვს, როგორც გადაწყვეტილების საფუძველი, რომ არ უნდა იქნას მონაწილეობა მიღებული არჩევნებში, რომელიც ჩატარდება თურქეთში.[1]სინამდვილეში აიათში იგულისხმება ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ სამყაროს მართვა დ სუვერენიტეტი. არსებობს უამრავი აიათი, რომ დედამიწაზე სიცოცხლის ფორმირება მისი (ღმერთის) თანხმობის შესაბამისად, იქნება ადამიანის ხელით და „ხალიფას“ მეშვეობით ადამიანს ეკისრება პასუხისმგებლობა მის შესრულებასა და მართვაზე.

კიდევ ერთ სხვა მაგალითში ჩანს, რომ ორგანიზაცია ურჩევს, ყურანის წაკითხვას ზედაპირული და შერჩევითი ფორმით და მიუთითებს, ყურანისადმი მიდგომაზე წინასწარი ცოდნისა და აღჭურვილობის გარეშე. ეს მითითება არის ორგანიზაციის სტრატეგიის არაპროგნოზირებადობის ნათელი მაგალითი. იმის ცოდნის გარეშე, თუ

1 კონსტანტინიე, 1437/4, N 62.

„დეაშის“ მიერ კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების ნიმუშების ფსევდო-რელიგიური მოტივებით განადგურება, მიზნად ისახავს მსოფლიოს საზოგადოებაში გაავრცელოს იდეა, რომ ისლამი არ შეიცავს კულტურას, ხელოვნებას და ელეგანტურობას.

რა პირობებში და რომელი აიათების ჯგუფებთან ერთად გარდმოევლინა ჯიჰადის აიათები, ყურანის მხოლოდ ცალკეული აიათების წაკითხვა, ჯიჰადის შესახებ არსებული პრინციპების მთლიანობაში განხილვის გარეშე, ჯიჰადთან დაკავშირებით ძვირფასი შუამავლის სიტყვებისა და პრაქტიკის გაანალიზების გარეშე არის დიდი შეცდომა. თუმცა, ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი ებულ ბერა ელ-ჰინდი ვიდეოში ამბობს: “გადაშალეთ ყურანი და წაიკითხეთ ჯიჰადის აიათები, ყველაფერი გასაგები გახდება. ყველა სწავლული მეუბნება, რომ „ეს არის სავალდებულო (ფარძი); ეს არ არის სავალდებულო; ეს პერიოდი არ არის ჯიჰადის დრო“, გადადეთ ეს ყველაფერი გვერდზე და წაიკითხეთ ყურანი. გაიგებთ, რა არის ჯიჰადი!“ [2]

ადამიანების ადვილად მოტყუება და მათი ცოცხალ იარაღად გადაქცევის მიზნით ჯიჰადის გამოყენება, რომელიც კაცობრიობისთვის მშვიდ გარემოში ცხოვრების სავალდებულოდ (ფარძად) დაწესებული

2 რისალე მეფთუჰა ილედ დოქტორ იბრაჰიმ ელ-ბედრი ელ-მულაქქაბ ბი „ებუ ბექრ ელ-ბაღდადი“, N 4-5 (http:// www.lettertobaghdadi.com/14/arabic-v14.pdf).



ისე, როგორც არ არიან ჯიჰადის მებრძოლები ისინი, ვინც ხელში იღებდნენ იარაღს და ბრმად ხოცავდნენ უდანაშაულო არსებებს, ასევე არ არის ჯიჰადი ის სისასტიკე და მკვლელობა, რომელსაც ჩადიან კრიმინალური ქსელები, რომლებმაც დაკარგეს გულმოწყალება და სინდისი.

ერთ-ერთი ღვთისმსახურებაა, შეიძლება იყოს მხოლოდ ავადმყოფური ინტერპრეტაციის პროდუქტი.

როგორ აღწერს „დეაში“ მუსლიმს?

ამ შეკითხვაზე ერთი წინადადებით პასუხის გასაცემად, ორგანიზაციის მიხედვით, მუსლიმი არის ის ადამიანი, რომელიც დაკავშირებულია „დეაშთან“ ან ცხოვრობს მის მიერ კონტროლირებად რეგიონებში. „დეაშის“ დამოკიდებულება სხვა მუსლიმების მიმართ არის გამომრიცხავი, გამაუცხოებელი და სკეპტიკური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირი, რომელიც არ ემორჩილება ორგანიზაციას, არ იღებს ორგანიზაციის რადიკალურ რიტორიკას, რომელსაც აქვს ნაკლოვანებები ღვთისმსახურებით ცხოვრებაში, „დეაშის“ მიხედვით არ არის მუსლიმი. რადგანაც, ორგანიზაციის იდეოლოგიის თანახმად, რწმენა შედგება გულით დამტკიცების, ენით დამოწმების და საქმით შესრულებისგან. ამ სამიდან ერთ-ერთის ნაკლებობა, ადამიანს რწმენას აკარგვინებს. „დეაშის“ ეს ცრუ მორწმუნისა და მუსლიმის გაგება, ხელს უწყობს იმ ადამიანების გინებით შემკობას და მოკვლას, რომლის ქმედებაშიც ნახავენ ნაკლს.

თუმცა, მათურიდისა და ეშარის ტრადიციების მიხედვით, რომლებიც „ეჰლი-სუნნეთის“ უმრავლესობას წარმოადგენენ, რწმენაში მთავარი დასტურია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის მიერ ალლაჰის არსებობის და ერთადერთობის გულწრფელი დაჯერება, რწმენის პრინციპების გულით დაჯერებაა. ყველა ვინც, ადასტურებს და ამბობს, რომ „არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამმედი მისი მსახური და შუამავალია”, არის მორწმუნე. დამოწმება, ანუ აღნიშნულის გარკვევით წარმოთქმა კი, არ არის რწმენის ნაწილი, არამედ არის პირობა იმისათვის, რომ ადამიანი ქვეყანაზე იყოს აღიარებული, როგორც მუსლიმი. აქედან გამომდინარე, სანამ ცალსახად არ უარყოფს ჩვენი რელიგიის პრინციპებს, განსაკუთრებით მონოთეიზმს, არ შეურაცხყოფს და არ დასცინებს მათ, ადამიანი არ გადის რწმენის ჩარჩოებიდან და ის არ შეიძლება იყოს დადანაშაულებული, როგორც ურწმუნო, თუნდაც იგი იყოს ცოდვილი. ჩვენი „ეჰლი სუნნეთის“ სწავლულები ამ პრინციპს შემდეგნაირად გამოხატავენ: „ეჰლი ქიბლას“ (ქიბლას ხალხს) არ შეიძლება ეწოდოს ურწმუნო.“

რას მოიპოვებს „დეაში“ ურწმუნოდ (თექფირი) მოხსენიების ლოგიკით?

„თექფირი“ არის მტკიცება, რომ ადამიანი, რომელიც არის მუსლიმი ან ცნობილია მისი მუსლიმობის შესახებ არის ურწმუნო. ეს მტკიცება გამოყენებული იყო როგორც იდეოლოგიური იარაღი ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში, სხვადასხვა ჯგუფები თავიანთი ოპონენტებს მოიხსენიებდნენ, როგორც „ურწმუნო“ და ცდილობდნენ მათ შერცხვენას და დისკრედიტაციას. თუმცა, ჩვენი შუამავალი ამბობს, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და ნაბრძანებია ბრძოლა ადამიანების წინააღმდეგ, სანამ არ ირწმუნებენ მის შუამავლობას, რომ დაცულია მათი სისხლი და ქონება, რომლებიც ამბობენ, ქელიმეი თევჰიდს (რომ ღმერთი ერთია), ვინც ქიბლას მიმართულებით ნამაზის ლოცვას შეასრულებენ, მოპოვებული აქვთ ალლაჰისა და მისი შუამავლის გარანტია, აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მოხენიება, როგორც ურწმუნო და გვამცნობს, რომ ის ვინც მუსლიმს უწოდებს ურწმუნოს, თვითონ

ვარდება ურწმუნოებაში. (ბუჰარი, რწმენა, 17, სალათი, 28, ეიმან, 7; ებუ დავუდ, ჯიჰად, 95).

დღესაც, “დეაში“ ყველას, ვინც პოლიტიკურად მისი მოწინააღმდეგეა, უპირველესად ვინც ოპონირებას უწევს მას და ააშკარავებს მის ბინძურ სახეს, მოიხსენიებს, როგორც ურწმუნოს. ურწმუნოდ მოხსენიების მიზეზები, მოიცავს სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობა, საჯარო მოსამსახურედ მუშაობა, სასამართლოსთვის მიმართვა და სკოლაში სწავლა. ისინი, ვინც საღი აზრისგან შორს, მუსლიმებს მოიხსენიებენ ურწმუნოებად, „ეჰლი სუნნეთის“ ხაზს კვეთენ და ღიად აზიანებენ უმმეთის ერთობას და ძმობას. აღნიშნული ურწმუნოდ მოხსენიების ლოგიკა, რომელიც მიზანში იღებს მილიონობით მუსლიმს, ფაქტობრივად ორგანიზაციას უხსნის სამოქმედო სივრცეს, წარმოქმნის ე.წ. რელიგიურ ნიადაგს ნგრევისა და სისასტიკისათვის. მიზანი არ არის საზოგადოებისთვის რწმენის გაცნობა და ადამიანებისთვის რწმენის შეყვარება, არამედ ძალადობის და ტერორის ლეგიტიმაციაა.

როგორ ანადგურებს „დეაში“ ისტორიულ მემკვიდრეობას მრავალღმერთიანობის (შირქი) მოტივით?

მრავალღმერთიანობა ნიშნავს ალლაჰისთვის, რომელმაც შექმნა სამყარო და განაგებს მას, სხვა ვინმეს თანაზიარად დაყენებას. „დეაშის“ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შეცდომა არის საფლავებისა და სამარხების მონახულებისა და მრავალღმერთიანობის ერთმანეთთან დაკავშირება. ორგანიზაცია, რომელიც მრავალღმერთიანობის კატეგორიაში აყენებს ალლაჰის საყვარელ მსახურებს, რომლებიც მოინახულებენ საფლავებს და აღავლენენ ვედრებას, არ ერიდება ურწმუნოთა მიმართ არსებული აიათების გამოყენებას ამ ადამიანების მიმართ.[3]

საფლავების ღვთისმსახურების ადგილებად გადაქცევას და საფლავში მყოფების მიმართ გარკვეულ ვედრებას ადამიანი მიჰყავს მრავალღმერთიანობისკენ. თუმცა, მისალმებისა და ლოცვის აღვლენის სახით, ჩვენი შუამავლის სუნნეთის

3 კონსტანტინიე, 1436/2, N. 4-8

შესაბამისად განხორციელებული საფლავის მონახულება მისაღებია. ყველა გონიერმა ადამიანმა იცის ამ ორ ქმედებას შორის განსხვავების შესახებ. ყველა მუსლიმი მიიჩნევს, რომ ყოვლისშემძლე ალლაჰი ერთადერთია ინდივიდუალურიბაში (ზათი), მნიშვნელობაში (სიფათი) და ქმედებებში. მხოლოდ მას უნდა შეევედრო, მხოლოდ მისგან უნდა ითხოვო, მხოლოდ მისი კეთილგანწყობითა და მადლით არის შესაძლებელი სურვილების ასრულება. აქედან გამომდინარე, საფლავების მონახულებას, რომელიც ხდება პროცედურის შესაბამისად გაფრთხილების მიღებისა და სიკვდილის გახსენების მიზნით, მრავალღმერთიანობასთან რაიმე სახის კავშირი არ გააჩნია.

„დეაშის“ მიერ საფლავის მონახულებისა და მრავალღმერთიანობის ერთმანეთთან დაკავშირების ასახვა, წარმოიქმნება ისტორიული მემკვიდრეობის განადგურებისა და კულტურისადმი მტრული დამოკიდებულების ფორმით. ამ თვალსაზრისის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო ისტორიული ძეგლების განადგურება, განსაკუთრებით სამარხების და ადგილსამყოფების, რომლებთან

დაკავშირებითაც არსებობს მოსაზრება, რომ ეკუთვნოდათ შუამავლებს. „დეაში“, რომელმაც საკითხთან დაკავშირებული ჰადისები გამოყო მისი ისტორიული და სოციალური კონტექსტიდან, იყენებს მათ საფლავის განადგურების საკუთარ ინსტრუმენტად.

ამ განადგურებამ იმოქმედა მუზეუმებში არსებულ ქანდაკებებსა და სათაყვანებელი ხასიათის ისტორიულ ძეგლებზე. ორგანიზაციის წევრები, ძველი ერებისა და კულტურების მემკვიდრეობის განადგურებას უწოდებენ “კერპების დამსხვრევას“ და ფუთავენ ფსევდო-რელიგიურ სამოსში.[4] თუმცა წმინდა ყურანი, რომელიც იძლევა რეკომენდაციას, დედამიწის შემოვლისა და ისტორიის ნაკვალევებიდან გაკვეთილის მიღების შესახებ, ბრძანებს: “განა არ უმოგზაურიათ დედამიწაზე, მათ გულს განა არ შესწევდა გაგება, ხოლო ყურებს შესმენა? უეჭველად, თვალი კი არ ბრმავდება, არამედ გული მკერდში!“ (ჰაჯი, 22/46)

4 კონსტანტინიე, 1436/1, N. 25-27; 1436/3, N. 68-69; დაბიქ, 1436/8, N. 22-24.

ქმედებისათვის,
რომელიც
გამოიწვევს
უდანაშაულო
ადამიანების
სიკვდილს,
საკუთარი თავის
მოკვდინება
არ შეიძლება
მიჩნეული
იქნას, როგორც
„მოწამეობა“.
მიუხედავად
იმისა, არის თუ
არა მუსლიმი ან
არამუსლიმი,
არცერთი
ადამიანის და
საზოგადოების
მიმართ ასეთი
თავდასხმების
მოწყობა არ არის
დასაშვები.

„დეაში“, რომელიც ანადგურებს ისტორიულ მემკვიდრეობას, შლის კვალს, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ გავიგოთ, რა გააკეთა და განიცადა ადამიანმა სხვადასხვა პროცესებში ღვთიური გამოცდის წინაშე და აჩვენებს გონიერების სრულ სიბრმავეს. თუმცა, როდესაც ჩვენი შუამავლის თვალსაჩინო მიმდევარმა მეგობრებმა, განსაკუთრებით ჰზ. ომერმა, გაათავისუფლა დამასკოსა და „ბეით-ი მაკდისის“ რეგიონები, არ დაუნგრევიათ ნაგებობები, რომლებიც მიჩნეული იყო შუამავლის საფლავად და არ შეხებია ეკლესიებსა და სინაგოგებს. „სალაფი სალიჰის“ მოწინავენი, როგორებიც არიან აბდულა ბ. ომერი და საიდ ბ. ალ-მუსეიბი, ჩვენი შუამავლის მინბარის გვერდით ლოცულობდნენ. მაშინ, როდესაც ასეთია „სალაფის“ მიდგომა რელიგიის ისტორიული მოგონებებისადმი, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერთა მიერ, რომლებიც საკუთარ თავს უწოდებენ „ნეო-სალაფებს“, მოგონებების განადგურება იმ ქალაქებში, სადაც ისლამური ცივილიზაცია დაიბადა და განვითარდა, ძალზე მტკივნეულია.

„დეაშის“ მიერ კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების ნიმუშების განადგურება ფსევდო-რელიგიურ ნიადაგზე, ზუსტად ემთხვევა ორგანიზაციის შემქმნელი სცენარის ავტორების მიზნებს. ამდენად, მათ სურთ რომ იდეა, ისლამი არ შეიცავს კულტურას, ხელოვნებას და ელეგანტურობას, გავრცელდეს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე და მიზნად ისახავს ახალგაზრდა თაობებისთვის იმ ბარბაროსობის ცილისწამების ჩაგონებას, რომელიც ისტორიის მანძილზე მიმართულია მუსლიმი საზოგადოებების მიმართ და ადგილი ეთმობა დასავლურ წყაროებში.

რა შეიძლება იყოს „ფითენის“ (არეულობების) ნარატივების მნიშვნელობა „დეაშში“?

„ფითენის“ (არეულობების) ნარატივები არის ჰადისების გადმოცემები, რომელიც მოგვითხრობს იმ მოვლენებისა და მომასწავებელი ნიშნების შესახებ, რომლებიც აპოკალიფსის მოახლოებისას უნდა მოხდეს. ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძვიან ისტორიის მანძილზე, თავიანთი პოზიციების გასამყარებლად

ცდილობენ ძვირფასი შუამავლის ავტორიტეტით სარგებლობას და ახდენენ არაერთი ჰადისის გადმოცემის ამ კონტექსტში ინტერპრეტირებასაც და იყენებენ მზაკვრულად. მათ შორისაა „ფითენის“ ნარატივებიც, სოციალური არეულობებისა და ომების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა რელიგიური და პოლიტიკური მიზეზების შედეგად წარმოიქმნა.

„დეაში“ დისკურსს, რომელიც აკისრებს მას ღვთაებრივ მისიას, აკავშირებს დიდ ომთან, რომელიც უნდა მოხდეს მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის აპოკალიფსის მოახლოებისას. „დეაში“, რომელიც კონტექსტიდან გლეჯს ამ ომთან დაკავშირებულ გადმოცემებს, რომელსაც ჩვენს წყაროებში ეწოდება „მელჰამეი ქუბრა“, სამხედრო პროპაგანდის ინსტრუმენტად აქცევს. ჰადისის გადმოცემების თანახმად, რომლებსაც ეყრდნობა „დეაში“, ამაქის ან დაბიქის რეგიონებში, რომლებიც დღეს სირიის შემადგენლობაშია, მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დიდი ომის გარეშე აპოკალიფსი არ მოხდება. ამ ნარატივის მიხედვით, მუსლიმთა არმია, რომელიც უპირისპირდება ქრისტიანებს, დაიძვრება მედინადან

და შემდგარი იქნება დედამიწაზე ყველაზე კარგი ადამიანებისგან. მუსლიმები გაიმარჯვებენ ამ მძიმე ბრძოლაში და შემდეგ დაიპყრობენ სტამბოლს. როდესაც ვეტერანებს თავიანთი ხმლები ჩამოკიდებული აქვთ ზეთისხილის ხეებზე და ნადავლს იყოფენ, გავრცელდება ჭორები, თითქოს გამოვლინდა დეჯჯალი (ანტიქრისტე) და დარჩენილი ოჯახები არ არიან უსაფრთხოდ. როდესაც მუსლიმები მიბრუნდებიან დამასკოს რეგიონისკენ და ემზადებიან საომრად, ისა გამოდის და კლავს დჯჯალს (მუსლიმი, ფითენ, 34).

„დეაში“, ამ ნარატივის საფუძველზე საკუთარ თავს წარმოაჩენს ისლამის არმიად, ცდილობს ლეგიტიმაციის მოპოვებას და იმის მტკიცებით, რომ დადგა დაბიქის ბრძოლის დრო, ეპატიჟება მოხალისეებს სირიაში, რათა მონაწილეობა მიიღონ მათ რიგებში. თუმცა ის ადამიანები, რომლებსაც ისინი კლავენ, რომელთა ქალაქებსაც ანადგურებენ, რომელთა ქონებასაც იტაცებენ და აწამებენ, არიან მუსლიმები. სინამდვილეში, ისლამის შუამავალი, ომში მტრის წინაშეც კი, სათნოებას ურჩევდა და კრძალავდა სამოქალაქო პირებთან შეხებას, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულების და სასულიერო

პირების მოკვლას და არ უშვებდა არაადამიანურ ქმედებებს, რომლებიც იყო მიმართული შურისძიებისკენ.

შეიძლება თუ არა „დეაშის“ ფსევდო-ხალიფატის სახელმწიფოს მტკიცება იყოს რეალისტური?

„დეაშმა“, რომელიც მოქმედებს მსოფლიოს ყველა მუსლიმთა ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენლის მოტივით, საკუთარ თავს უწოდა ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ და ორგანიზაციის ლიდერმა ფსევდო-ხალიფატი გამოაცხადა. ორგანიზაცია ინტენსიურად მონაწილეობს პროპაგანდისტულ პროცესში, რათა გაამყაროს ბაღდათის ხალიფატის კანონიერება კლასიკური ისლამური ლიტერატურის მასშტაბების მიხედვითაც და ამ საკითხთან დაკავშირებით გამოსცა წიგნები და ბროშურები. მეტიც, ყურაიშის ტომის წევრობის საკითხში, რომელიც ხალიფატის ერთ-ერთ პირობად მიიჩნევა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და ჩამოყალიბდა ყალბი გენეალოგია, რომელსაც საფუძვლად დაედო ბაღდადისთვის თავისი ნათესაობა ჰუსინის მეშვეობით

ალლაჰის შუამავლამდე. მოგვიანებითი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ეს გენეალოგია იყო გამოგონილი.

ის ფაქტი, რომ „დეაში“ დღეს ცდილობს აღადგინოს ასეთი ფსევდო-ხალიფატის მოდელი, მეტი არაფერია, ვიდრე მცდელობა, მიითვისოს ხალიფატის რეპუტაცია და ღირებულება, რომელიც მოიპოვა ხალიფატმა მუსლიმურ საზოგადოებებში საუკუნეების მანძილზე. ხალიფატსა და იმამათზე გაკეთებული აქცენტი მიმართულია ორგანიზაციის სტრუქტურის გაძლიერებისკენ ამ კონცეფციების ისტორიული ქარიზმით სარგებლობის გზით. ამ თვალსაზრისით, უაზრობაც კია იმის გამოკვლევა, ატარებს თუ არა ხალიფატის პირობებს „დეაშის“ მიერ ჩამოყალიბებული სტრუქტურა. სინამდვილეში, „დეაშის“ მიერ ხალიფატისა და იმამათის კონცეფციების გამოყენება საკუთარი ორგანიზაციული მიზნებისთვის, შეიცავს ისლამური ცივილიზაციის ერთიანობის, ერთობისა და ძმობის პრინციპების განადგურების მიზნებს.

როგორ ცვლის „დეაში“ „დარულ-ისლამის“ (ისლამური სახელმწიფოს) კონცეფციას?

„დარულ-ისლამი“ არის იურიდიული და პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს მუსლიმების დომინირების ქვეყნებს, «დარულ-ჰარბი» კი განისაზღვრას არამუსლიმების მმართველობის ქვეშ მყოფ ქვეყნებს. ისლამის ადრეული საუკუნეების განმავლობაში, ამ ორი ცნების მიერ ფორმირებული სახელმწიფოთაშორისი სისტემა დროთა განმავლობაში შეიცვალა და ქვეყნებისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ მუსლიმებთან შეთანხმებაში, ჩამოყალიბდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „დრაუს-სულჰ“, „დურულ-აჰდ“, „დრაუზ-ზიმმე“.

სინამდვილეში, ძალზედ არასწორია ისტორიის გარკვეული პერიოდებში ხალხთაშორისი ურთიერთობების ახსნა-განმარტებისა და სამართლებრივი პრინციპების განსაზღვრის მიზნით შემუშავებული კონცეფციების უცვლელად გადმოტანა დღევანდელ პერიოდში და „თექფირის“ მიმდევართა გაგების ეკრანად გამოყენება. კონცეფციები,

როგორიცაა „დარულ-ისლამი“ და „დურულ-ჰარბი“, დროისა და გეოგრაფიიდან გამომდინარე, მუსლიმი მკვლევარების მიერ განიხილებოდა და ხდებოდა ინტერპრეტაცია სხვადასხვა გზით. აუცილებელია ასეთი კონცეფციების ხელახალი შეფასება დღევანდელი საერთაშორისო სამართლებრივი, პოლიტიკური და კომერციული ურთიერთობების თვალსაზრისით, ისლამის მკვლევარების მიერ დაგროვებული მდიდარი ინტერპრეტაციებით. დღეს არჩევანი უნდა გაკეთდეს საუბარზე, ისეთი კონცეფციებით, რომლებიც ითვალისწინებენ ისლამური ქვეყნების ამჟამინდელ პოლიტიკურ სტრუქტურებს.

„დეაში“, რომელიც აცხადებს, რომ ისლამური სახელმწიფოს სახელით მუსლიმთა ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენელია, „დარულ-ისლამის“ კონცეფციას იყენებს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება. ორგანიზაცია, გარდა აღნიშნულისა, ყველა დანარჩენ რეგიონს, მათ შორის ისლამურ ქვეყნებს, აცხადებს, როგორც „დარულ-ჰარბი“ და მუსლიმებს მოუწოდებს ე.წ. ხალიფატის ტერიტორიაზე „ჰიჯრეთის“ (გადასვლის)

შესახებ, რაც ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც გამოიყენება ალლაჰის დებულებები. ეს სიტუაცია, რა თქმა უნდა ნიშნავს, რომ ორგანიზაცია საკუთარი სტრატეგიის გაძლიერების მიზნით ბოროტად იყენებს ,,ფიყჰის” (ისლამური სამართალი) კონცეფციას.

როგორ სცხებს ჩირქს „დეაში“ ჯიჰადის კონცეფციას?

„ჯიჰადი“ ნიშნავს იმას, რომ როდესაც ადამიანი ისლამის შესახებ შეტყობინებისა და მუსლიმურად ცხოვრების გზაზე ებრძვის საკუთარ თავს და გარე მტერს, მთელი თავისი ძალისხმევა უნდა გამოიყენოს ბოლომდე. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებს მუსლიმი ცუდისა და ბოროტების წინააღმდეგ, სიკეთისა და განათლების გზაზე მის მიერ დახარჯულ ძალისხმევას მოიცავს ჯიჰადის მნიშვნელობა. აიათი “გაისარჯეთ ალლაჰისთვის სათანადო ბრძოლით.“ (ჰაჯ, 22/78) და ჰადისი „აწარმოეთ ჯიჰადი თქვენი ხელებით, თქვენი ენით და თქვენი ქონებით.“ (ნესაი, ჯიჰად, 48) მაგალითია ამ ყოვლისმომცველი მნიშვნელობისა.

“დეაშს“ სურს ჯიჰადი გააიგივოს არაადამიანური მნიშვნელობის სამყაროსთან, როგორიცაა წამება, დევნა, მასობრივი მკვლელობები და მკვლელობების გამოქვეყნება, რომელიც არ არის მოცემული რელიგიურ ლიტერატურაში არანაირი ფორმით. ეს უკიდურესი და მანკიერი მიდგომა, რომელიც ჯიჰადის მტერთან შეტაკების მნიშვნელობასაც კი აღემატება, ეთანხმება ორგანიზაციის მოწინააღმდეგე ყველა ჯგუფის წარმომადგენლის, მათ შორის ქალების, ბავშვების და მოხუცების მოკვლას, განურჩევლად არის თუ არა მუსლიმი ის. „დეაშის“ თანახმად, ჯიჰადი, რომელიც ყურანის კონცეფციაა, გამოხატავს მხოლოდ ბრძოლას და ჯიჰადის ვალდებულების შესრულების ერთადერთი გზა ორგანიზაციის განკარგულების ქვეშ შესვლა და მის ძალადობრივ ქმედებებში აქტიური მონაწილეობაა.

თუმცა, ჯიჰადი ჩვენს რელიგიაში, არა მოკვლის, არამედ გაცოცხლების; კაცობრიობისთვის მშვიდობის, წესრიგისა და კეთილდღეობის მოტანის; ცხოვრებაზე მოჭიდების შესაძლებლობის უზრუნველყოფის სახელია. ჯიჰადი ალლაჰის გზაზე

მობილიზებული ძალისხმევა, სიმართლისა და ჭეშმარიტებისთვის ბრძოლაა. სიწმინდეების დაცვისა და მსოფლიოში არსებული უსამართლობის აღსაკვეთად სხეულით, ენით, იდეებითა და გულით სტაბილურობის გამოხაატულებაა.

ისე, როგორც არ არიან ჯიჰადის მებრძოლები ისინი, ვინც ხელში იღებენ იარაღს და ბრმად ხოცავენ უდანაშაულო არსებებს, ასევე არ არის ჯიჰადი ის სისასტიკე და მკვლელობა, რომელსაც ჩადიან კრიმინალური ქსელები, რომლებმაც დაკარგეს გულმოწყალება და სინდისი. ჯიჰადის კონცეფციის ბოროტად გამოყენება, იმ ტერორისტული მოძრაობების მიერ, რომლებსაც არ გააჩნიათ რაიმე სახის კავშირი ისლამის ჯიჰადის გაგებასთან, იწვევს შიშს ისლამის შესახებ და უდიდეს ზიანს აყენებს მუსლიმებს.

„დეაშის“ მიერ უდანაშაულო ადამიანების, მუსლიმებისა და სამოქალაქო პირების მიმართ განხორციელებული თავდასხმების ჯიჰადად მოხსენიება ისლამის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია. სისასტიკით ჩადენილი მკვლელობების ისლამზე ასახვა, გვიჩვენებს, თუ როგორ იყენებს ორგანიზაცია ჯიჰადის

კონცეფციას ბოროტად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მაშინ, როდესაც ირღვევა წყალობის შუამავლის სუნნეთი, რომელიც გამოიგზავნა სამყაროთა წყალობად და რომელიც კაცობრიობას ასწავლის, რომ ომსაც კი გააჩნია ზნეობა, როდესაც იგნორირებულია წმინდა წიგნის აიათები: „და თუ მშვიდობისკენ გადაიხრებიან, მაშ, მისკენ გადაიხარე შენც და მიენდე ალლაჰს. უეჭველად, იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!“ (ენფალი, 8/61), ხდება ადამიანების მიერ ჯიჰადის შესახებ ჯანსაღი აღქმის განვითარების ხელის შეშლა.

ვის ანადგურებს „დეაში“ „ისთიჰშადის“ (მოწამეობის) ტყუილით?

„ისთიჰშადი“ არის სიტყვა, რომელიც გამოიყენება „მოწამეობის“ განზრახვით სასიკვდილო ნაბიჯის მნიშვნელობით და რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციების ენით, განიმარტება, როგორც თვითმკვლელობის თავდასხმები. „დეაშის“ მიხედვით, თვითმკველობით თავდასხმებში ადამიანის მონაწილეობა, სადაც ადამიანი, როგორც ცოცხალი ბომბია, მოიცავს სათნო ქმედებებს, რომლებიც

დასაშვებია. ორგანიზაციის მიერ ამ ქმედებების დაცვა, გამოწვეულია იმით, რომ გავრცელებისა და დაშინების სტრატეგიების კუთხით მუშაობს. როგორც თვითონ ამბობენ „ისლამური სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დაპყრობების უმრავლესობის კარი, გააღო „ისთიჰშადის“ ოპერაციებმა. ერთადერთი სახელმწიფო მსოფლიოში, რომელსაც გააჩნია ეს უნიკალური ფუნქცია ისლამური სახელმწიფოა. როგორც ისლამურ სახელმწიფოში, ასევე სხვა ქვეყნებში ათასობით ხალიფატის ლომი ელოდება რიგს ამ წმინდა ოპერაციის შესასრულებლად.“[5]

სინამდვილეში, ერთ-ერთი უმთავრესი იმუნიტეტი, რომელიც მიანიჭა ისლამმა ადამიანს, არის სიცოცხლის უსაფრთხოება. ყურანის თანახმად, ადამიანის განზრახ მკვლელობა, ლეგიტიმური და სამართლებრივი დასაბუთების გარეშე, ჰგავს მთლიანი კაცობრიობის მკვლელობას. ვინც ამ დანაშაულს ჩაიდენს ჯოჯოხეთია მისი საზღაური, სადაც დარჩება მუდმივად. განურისხდა მას ალლაჰი და დაწყევლა იგი და გაუმზადა მას სასჯელი საშინელი! (ნისა, 4/93). ანალოგიურად,

5 კონსტანტინიე, 1436/3, N. 43.

არავის აქვს უფლება წაიწყმიდოს სული, რომელიც არის მისთვის მინდობილი და დაასრულოს საკუთარი სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, უამრავი ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ ის იბრძვის ალლაჰის სახელით, ვინც დაკარგა თავისი ძალაუფლება, შეეზღუდა გონიერება, გააქირავა გონება და ამბობს „მე მივისწრაფვი სიკეთისკენ“ სინამდვილეში მიდის უბედურებისკენ, როდესაც ამბობს „მივდივარ სამოთხეში“, ეშვება ჯოჯოხეთში.

“დეაშის” მიერ წამებულობის კონცეფციის ბოროტად გამოყენება, იდენტურად ჰგავს ბრბოს, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც „ასასინები“. ჰასან საბაჰმა ასევე დაარწმუნა მისი მორჩილები, რომ იყო რჩეული, ის ცდილობდა ეჩვენებინა ყურანის აიათები თავისი ფანტაზიების სცენარების მტკიცებულებად, ახალგაზრდები, რომლებსაც ხელთ ეპყრათ ხანჯალი, გააბრუა სამოთხის დაპირებით, მიუსია საზოგადოებას და დაახოცინა მუსლიმებს ერთმანეთი.

თუმცა, საკუთარი თავის მოკვდინების ქმედება, რომელიც გამოიწვევს უდანაშაულო და უცოდველი ადამიანების, ქალებისა და ბავშვების სიკვდილს, შეუძლებელია

შეფასდეს, როგორც „მოწამეობრივი ქმედება“. არ არის დასაშვები ასეთი თავდასხმების მოწყობა არცერთი ადამიანის ან საზოგადოების წინააღმდეგ, მიუხედავადი იმისა მუსლიმია ის თუ არამუსლიმი. აქტების შეუფასებლობა თვითმკვლელობად, სადაც ადამიანი, როგორც ცოცხალი ბომბია, არამედ წარმოჩენა, როგორც მოწამეობის მცდელობა, სხვა არაფერია თუ არა ბოროტად გამოყენება მოწამეობის გონებრივი კონცეფციისა. სინამდვილეში, მოწამეობა, არის უზენაესი სამყოფელი მათთვის, ვინც ისლამისა და მუსლიმების მომხვდურებთან ბრძოლაში დაიღუპნენ ბრძოლის ველზე ან დაიღუნენ დევნის (ძალადობის) შედეგად. უდანაშაულო ადამიანების მკვლელობას ჰქვია არა მოწამეობა, არამედ მკვლელობა.

რა არის „დეაშის“ მიერ გამოქვეყნებულ საშინელებათა ვიდეოების შინაგანი სახე?

„დეაშის“ მიერ, მსხვერპლთა მოკვლის დროს წამებისთვის გამოყენება და შემზარავი გამოსახულებების მედიაში გავრცელება, ერთი მხრივ ხდება ადამიანების დაშინებისა და

პროპაგანდის მიზნით. ტერორიზმი არის ფენომენი, რომელიც იკვებება შიშით, ძლიერდება მუქარითა და ზეწოლით. ტერორიზმის დამნაშავეები, რაც უფრო მეტი ადამიანის დაშინებას შეძლებენ, რაც უფრო მეტად შეძლებენ ემოციური ნგრევის მასშტაბების გაფართოვებას, იმდენად წარმატებულად მიიჩნევენ თავს. თუმცა, მათი ამ პრაქტიკის რეალური მიზანი ისლამის, მისი შუამავლისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში შეშფოთების გამოწვევაა.

ამგვარი ვიდეოების გავრცელება, განსაკუთრებით სოციალური მედიის საშუალებით, მიზნად ისახავს, რომ შეაჩერონ ახალგაზრდების, რომლებიც უფრო მეტად იყენებენ ამ არხებს, ისლამის უსაფრთხოების, ნდობისა და თანაგრძნობის კლიმატისკენ ორიენტაცია. ინტერნეტ-პროვაიდერების მიერ, რომლებსაც აქვთ ამგვარი სისასტიკის ამსახველი მასალის დაბლოკვის ან წაშლის შესაძლებლობა, პირიქით ამ ვიდეოების ყველასათვის ხელმისაწვდომობის შენარჩუნება, აღნიშნული საკითხის კიდევ ერთი გამაოგნებელი განზომილებაა.

რასაკვირველია, ადამიანისთვის ყელის გამოჭრა არც ისლამური და არც ადამიანურია. ჩვენმა შუამავალმა, არა თუ ადამიანის, არამედ ცხოველის წვალებაც აკრძალა, აღკვეთა გადამეტებული ძალის გამოყენება ომშიც კი და უბრძანა თავის ჯარს „ყოფილიყვნენ ღვთის მოშიშნი, არ წასულიყვნენ ზედმეტზე, თავი შეეკავებინათ წამებისგან და შურსძიების წყურვილისგან, არ შეხებოდნენ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს, სასულიერო პირებს, არ მოეჭრათ ხეები” (მუსლიმი, ჯიჰადი და სიერი, 138). ასე რომ, დაუშვებელია სოციალური მედიის არხების მეშვეობით წამებისა და სისასტიკის შემცველი გამოსახულებების გავრცელების რაიმე ფორმით დაკავშირება კეთილსინდისიერებასთან და ისლამურ პრინციპებთან.

როგორ ვებრძოლოთ ძალადობაზე დაფუძნებული რელიგიის ბოროტად გამოყენებას?

- უპირველეს ყოვლისა, მიმოვიხილოთ ადამიანის აღზრდის სისტემა, განსაკუთრებით კი, რელიგიური განათლებისა და სწავლების ჩვენი მეთოდი. ჩვენს შვილებსა

და ახალგაზრდებში რელიგიის სწავლებისას, განვმარტოთ აიათების გარდმოვლენის მიზეზი, ჰადისების სიბრძნე, მიზანი, სხვა აიათებს და ჰადისებს შორის ადგილი. ყურადღება მივაქციოთ რელიგიური ტექსტების მთლიანობას, არ დავარღვიოთ მათი მნიშვნელობა და დავაკავშიროთ ისინი ავთენტურ წყაროებთან, რომლებიც არ დაუშვებს თვითნებურ ინტერპრეტირებას. არ დავუშვათ რელიგიური აღქმა, გაგებისა და ინტერპრეტაციის მეთოდების უგულებელყოფა, რომლებიც ჩამოყალიბდა ისლამური მეცნიერების ტრადიციაში, რომელიც 1400 წელს აღემატება.

- არ უგულებელვყოთ ჩვენი შვილები ყოველდღიურ ცხოვრებასა და არსებობისთვის შფოთვაში, ყურადღება მივაქციოთ ვისთან მეგობრობენ, რაში ხარჯავენ დროს, რას კითხულობენ, რომელ ქსელებში არიან ჩართულნი ინტერნეტში და ვირტუალურ სამყაროში. ნუ დაგვავიწყდება, რომ ახალგაზრდები, რომლებიც დარჩებიან ჩვენი სიყვარულის, მზრუნველობისა

და ხელმძღვანელობის გარეშე, მაღალია რისკი, რომ მოტყუვდნენ იმ არხების მიერ, რომლებიც აწვდიან დამახინჯებულ რელიგიურ ინფორმაციებს და მოხვდნენ რადიკალური ორგანიზაციების გრავიტაციულ სფეროში.

- ვასწავლოთ ახალგაზრდა თაობებს, რომ მუსლიმი, თავისი რწმენით, ქცევითა და ზნეობით მიაღწევს სრულყოფილებას. პრაქტიკა, რომელიც არ სცილდება ფორმას და ხილულს, ადამიანს სარგებელს არ მოუტანს. ჩავნერგოთ მათ გონებაში, რომ ცხოვრება, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ამქვეყნიური მიღწევებით, როგორიცაა თანამდებობა, ძალაუფლება, ავტორიტეტი, ფული, არ არის მუსლიმური, რომ ისლამი ისწრაფვის სულიერებისკენ, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების, ისე საიქიოს მოსაპოვებლად.
- ვიცოდეთ, რომ ისლამი ითვალისწინებს წყალობასა და სამართლიანობას არა მხოლოდ მუსლიმებისთვის, არამედ ყველა ადამიანისთვის და ყველა ცოცხალი

არსებისთვის, რომლებიც იზიარებენ სამყაროს. განვმარტოთ, რომ ისლამი არის არა შიშისა და ძალადობის, არამედ წყალობისა და მშვიდობის რელიგია. ვიბრძოლოთ ყველა პლატფორმაზე ისლამოფობიასთან, რომელიც გამოწვეულია „დეაშისა“ და მსგავსი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ. არ შევეგუოთ რომ ისლამი იყოს ახსნილი უხეში, დისკრიმინაციული და „თექფირის“ ენით. პირიქით, ჩვენი შუამავლის უნიკალური მაგალითით, დავამკვიდროთ ელეგანტური, ყოვლისმომცველი და ნაზი სტილით რელიგიის დისკურსი.

-
- როგორც ჩვენს უზენაეს წიგნშია მოცემული, გამოვიჩინოთ ძალისხმევა, რათა ვიყოთ „შუა (სამაგალითო) თემი” (ბაყარა, 2/143). ვიყოთ საზოგადოება, რომელიც არ უბიძგებს უკიდურესი ნაპირებისკენ, იცავს თავის ბალანსს და მიმართულებას და შორსაა ნებისმიერი სახის ზღვარგადასულობისგან. გვახსოვდეს, რომ ასეთი საზოგადოება შედგება

მხოლოდ უბრალო ინდივიდებისგან, რომლებიც დაიცავენ ალლაჰის მიერ დაწესებულ საზღვრებს, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ როგორც საჭიროა, არ გადავლენ ზღვარს და დაემორჩილებიან აკრძალვებს.

- მოვერიდოთ ფანატიზმს და ნებისმიერი სახის „ფითნეს“ (არეულობას), რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მისით. ფანატიზმი; არის დაკავშირება რაიმესთან გამოძიებისა და გამოკითხვის გარეშე, იმ რაიმესთან კავშირის გაგრძელება გაურკვევლად, სიმართლეა თუ მცდარი და მისი საწინააღმდეგო ყველა აზრისა და გაგების მტრად გამოცხადება. ფანატიზმია ასევე რელიგიური გაგების მიღება და შემდეგ მისი მიჩნევა ერთადერთ ჭეშმარიტებად. ლოგიკა, რომ ჩვენი მოსაზრებაა ერთადერთი სიმართლე, ერთადერთი ხსნა ან ერთადერთი მიზანში მოხვედრა, ადამიანებსაც და ჯგუფებსაც უბიძგებს უბედურებისაკენ. სხვა მორწმუნეების ჭეშმარიტებისაკენ მოგზაურობის დამცირება, მათი გარიყვა რელიგიისა და რწმენის

ჩარჩოებიდან, შეურაცხყოფით შემკობა ქიბლასკენ მიმართული გულებისა ან სეჯდეზე დასული შუბლებისა, ძმობას არ შეესაბამება.

- რელიგიის ხელშეუხებელი პრინციპებისა და მუდმივობის გარდა, არსებობს ახალი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფუძნება წიგნს და სუნნეთს, ინდივიდუალური და სოციალური ცხოვრების შეცვლილი და განვითარებული საჭიროებების შესახებ. არ დავუშვათ, რომ ზოგიერთი კონცეფცია, რომელთა მნიშვნელობაც ისტორიას ჩაბარდა, გადმოტანილ იქნას დღევანდელობაში, ზოგიერთმა კი, განიცადოს მნიშვნელობოს ცდომილება და შეეწიროს იდეოლოგიურ ინტერესებს.
- მეზჰებები, რომლებიც გვეხმარება ისლამის გაგებასა და მისით ცხოვრებაში და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება რელიგიის ძირითად პრინციპებს, მივიღოთ, როგორც თითოეული სიმდიდრის მიზეზი. ვიცოდეთ, რომ ისინი, ვინც ადიდებენ კონკრეტულ მეზჰებს და სხვა მეზჰებთა

წარმომადგენლებს არ აძლევენ ფიქრისა და აზრის გამოხატვის უფლებას, განსაკუთრებით ისინი, ვისაც სურთ საკუთარი იდეები სხვებს ძალადობის გზით მაღებინონ, ცდილობენ დააპირისპირონ მუსლიმები ერთმანეთს მეზჰების განსხვავებების საფუძველზე და დაანაწევრონ.

- დავიცვათ ანატოლიის გააზრება, რომელიც წარმოიქმნა საუკუნეების მანძილზე ჩვენს ტერიტორიაზე და გვეხმარება ჩვენი რელიგიური ცხოვრების შენარჩუნებაში. ყურადღება მივაქციოთ, რომ ჩვენი ისლამური ტრადიცია იკვებებოდეს ცრურწმენისგან შორს, ჯანსაღი და ავთენტური წყაროებიდან. წინა პლანზე დავაყენოთ ისლამის სათნოება, კარგი ზნეობა, სულიერი სიღრმეები; არ დავთმოთ ჩვენი ერთობა, ერთიანობა და ძმობა.
- „დეაში“ ერთ-ერთი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც დღეს ბოროტად იყენებს რელიგიას. მახეს უგებს ახალგაზრდებს, რელიგიას იყენებს ძალაუფლების მოპოვებისა და იდეოლოგიური

ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით. ეს ორგანიზაცია, რომელიც სირიასა და ერაყში მდებარეობს, ჩვენი, როგორც მეზობელი ქვეყნის ახალგაზრდებს, ხედავს სამიზნედ ადამიანური რესურსების უზრუნველსაყოფად. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი „დეაშისა“ და მსგავსი სტრუქტურების წინააღმდეგ ბრძოლაში, არის ისლამის სწორი გაგება და ცოდნა იმისა, თუ რომელი ისლამური ფასეულობების გამოყენებით ახორციელებენ ამ ხალხის ექსპლუატაციას ეს ორგანიზაციები. ჩვენს ხელთ არსებული ეს ნამუშევარი მომზადებულია, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ერის ცნობიერების ამაღლების, რელიგიის ბოროტად გამოყენების შესახებ გაფრთხილების და ჩვენი უზენაესი რელიგიის ავთენტური წყაროებიდან სწავლის მნიშვნელობაზე ყურადღების გასამახვილებლად.